№ 246 ნოემბერი 18, კვირა 1890 ნოემბერი 18, კვირა № 246


ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ

| თოვე | მან. | კ. | თოვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა

## წლიური კრება,

დანიშნული 14 ნოემბრისთვის, ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით, ხელმეორედ კრება დანიშნულია 21 ნოემბრისთვის, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (5—3)

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 18 ნოებერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

ახალი პიესა

### ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

დრამა 3 მოქმ. და 4 სურათ. თხზ. გ. იოსელიანისა.

II

### ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠᲘᲡᲐᲡ

ხუმრობა—ვოდევილი 1 მოქმედ. თხზ. რ. ერისთავისა.

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ციციშვილისა: ბ.ნნი აბაშიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, საფაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ანონსი: მზადდება ახალი ისტორიული პიესა მტარვალი.

სახალხო თეატრი

კვირას, 18 ნოემბერს,

ოლგას ქუჩაზე, ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მამულში

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

### ᲙᲘᲜᲢᲝ

კომედ. 3 მოქმ. თხზ. აკაკისა.

II

სცენები მიროვოი სუდიასთან

დ. კეზელისა.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენი 30 კ. გალერეა: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სიერცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ. (10—5)

წლიური კრება კავკასიის ... დულ საზოგადოებისა მოხდება 20 ნოემბერს 1890 წლისა, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში.

განსახილველი საგნები:

1) ამორჩევა ახალის წევრებისა და სხვა საადმინისტრაციო საგნები.

2) ანგარიში საზოგადოების თანამდებობის კაცთა:

ა) საზოგადოების მდივნის ა. ს. ფრენკელისა.

ბ) საზოგადოების ხაზინადრის ნ. პ. სმიტტენისა.

გ) რადგან მეწიგნთ-საცავე აქ არ არის, იმის მაგიერ ანგარიში საზოგადოების თავმჯდომარის თ. ა. ბიკოვისა.

3) ამორჩევა საზოგადოების თანამდებობის კაცთა 1890/1891 წლისათვის.

4) რეფერატი საზოგადოების წევრის ა. ს. ფრენკელისა: ინსტიტუტი ვექილთა სავლეხო საქმეთათვის.

საზოგადოების წესდების მე 17 § ძალით კრებაზე გარეშე კაცთაც შეუძლიანთ დაესწრონ.


## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს ლ. პ. მასტიცკის უბრძანებია პოლიციის ბოქაულებისთვის, რომ ქუჩაში გლახები არ დაიარებოდნენ და ხალხს არ აწუხებდნენ მოწყალების თხოვნითაო; თუ რომელსამე გლახას პოლიციამ [illegible] ბა მაშინ პოლიციის ბოქაულებმა მთხოვარი უნდა შეიპყრონ, ოქმი შეუდგინონ და გადასცენ მომრიგებელ-მოსამართლეს, მხოლოდ გლახაკნი-კი დაპატიმრებულნი იქნებიან ციხეშიო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა, როგორც ისმის, აპირობს ბერლინში გაჰგზავნოს ერთ-ერთი რკინის გზის საავადმყოფოს ექიმი სიჭლექის წამლობის შესასწავლად. მართლაც, რომ სიჭლექე ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც რკინის გზის მსახურთა შორის. რკინის გზის მმართველობა აპირობს ან ექიმი ბ-ნი სახაროვი და ან ბ-ნი როზენბაუმი გაჰგზავნოს ბერლინში სახელმწიფო ხარჯით.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისიდგან აპირობენ მკურნალ ავთანდილოვის გაგზავნას ბერლინში ქალაქის ხარჯით, რომ იქ ადგილობრივ შეისწავლოს პროფესორ კოხის მიერ ახლად მოგონილი წესი ჭლექით ავადმყოფების წამლობისა.

*** ამავე აზრით, მხოლოდ თავისის ხარჯით-კი, აპირობს წასვლას ბერლინში მკურნალი მაისურიანცი.

*** რადგან ამ ჟამად დიდი სიცივეები დაიჭირა კავკასიის მთებზე, ამიტომ იმ კომისიამ, რომელიც ამ მთებზე რკინის გზის გასაყვანს ადგილებს [illegible] ლიერებდა და იკვლევდა, თავისი მუშაობა შეაჩერა გაზაფხულამდე. ამ კომისიამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის გამოიკვლია, რომ კავკავსა და ტფილისს შუა სამს ადგილას დაგვჭირდება გვირაბის გაყვანა სულ 17 ვერსის სიგრძეზეო. დადგება გაზაფხული და კიდეც დაიწყებენ გზის კეთებას კავკავის მხრიდამ.

*** დღეს, 18 ნოემბერს, დანიშნულია არჩევანები ტფილისის ქალაქის საბჭოს მესამე რიგის ხმოსანთა. ამომრჩეველთა შორის 500 კაცი ქართველია ...

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲜᲐᲜᲢᲐ

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

### IV*)

თვრამეტი თვეე იყო ნანტა ფინანსთა მინისტრად და ამ თვრამეტს თვეში სწორედ რომ ძალზედ ჰმუშაობდა. ცოლთან ლაპარაკი რომ მოუვიდა, იმის მეორე დღეს ნანტა ბარონს ესტუმრა და ფლავია ისევ დასთანხმდა სახლში დაბრუნებას. დაბრუნდა-კი, მაგრამ ცოლ-ქმარნი ერთს სიტყვასაც არ ეუბნებოდნენ მეტს ერთმანეთს, მხოლოდ ქვეყნის თვალის ასახვევს კომედიასა თამაშობდნენ და ის იყო და ის. ეს დრო ნანტას უნარის გამოჩენის დრო იყო, იმის ოცნების განხორციელების დრო. ყმაწვილი კაცი ზე შთაგონებასა ჰგრძნობდა. სადაც-კი გამოჩნდებოდა, ყველგან ბუზსავით გარს ეხვეოდნენ და გაოცებით შესცქეროდნენ ამ გამოჩენილს კაცს, მაგრამ ქება-დიდება გულს არ უძგერებდა. იმისას ამბობდნენ, რომ ჰშრომობს, მაგრამ არავითარის ჯილდოს იმედი-კი არა აქვს, თავის ძალასა და ღონეს შეუსრულებელის შესრულებასა და განხორციელებას ალევსო.

ყოველ იმას შემდეგ, რაკი კოპი აღჩუს უჯდებოდა, ბედი სწყალობდა და წინ მიდიოდა, ნანტა გაფაციცებით ადევნებდა თვალს ფლავიას სახეს. ჰგრძნობს ნეტა ჩემს დიდებას, თუ არა? შემინდო ასეთის უნარისა და ჭკუისათვის ის სისაძაგლე, რომელიც ოდესღაც ჩავიდინე, თუ არაო? ადევნებდა თვალს, მაგრამ რაკი ამ დედაკაცის მუნჯს, მარმარილოსებრ უძრავს სახეზედ აღელვებას ვერა ჰხედავდა, კვლავ გულმოდგინედ ჰმუშაობდა და ამბობდა ხოლმე: „ვიაროთ ასე უკან-დაუხევლად! ჯერ საკმაოდ არ აღმაღლებულვარ, საკმაოდ მაღლა არ ამიწევია დიდების კიბეზედ, ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელიო!“

რამდენიც წინ მიდიოდა, იმდენი უფრო და უფრო ჰგრძნობდა, რომ საგანს ჩემის გარჯილობისას საცაა მოვეწევიო. რწმენა ძლიერებისა კვლავ დაუბრუნდა და კვლავ იმას ამბობდა, რომ ძალა და ჭკუა ყველაფერს გადაჰლახავსო. როცა სასოწარკვეთილება მოიცავდა, ოთახში ჩაიკეტებოდა ხოლმე, რომ არავისთვის ეჩვენებინა თავისი სულ-მდაბლობა. მხოლოდ იმაზედ ლა ემჩნეოდა გულში ნადული ბრძოლა, რომ შავი არშია შემოევლო თვალების გარშემო, რომელიც ციებ-ცხელებიანსავით ბრწყინავდე და ანთებული ჰქონდა.

ეხლა იჯვე უქენჯნიდა გულს. რაკი გონებაში გაუვლიდა ის აზრი, რომ შეიძლება შეიყვაროს ვინმე ფლავიამაო, ბრაზები მოსდიოდა. თავისის თავისუფლების დასამტკიცებლად იქნება კვლავ განაახლოს დე-ფონდეტთან კავშირიო. ამაოდ სცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ თუნდა ასეც მოიქცეს ჩემი ცოლი, არა მენაღვლება-რაო; ფეხ-და ფეხ უკანა სდევდა ცოლს, ერთს ნაბიჯზედაც არ მოშორდებოდა, სასაცილოდ გახდომისა რომ არ ეშინებოდა.

მოხუცი შუენი იმათს სახლშივე სცხოვრობდა: ბარონი მეტად მიეჩვია და ამას გარდა ამ დედაკაცმა ისე კარგად იცოდა ოჯახის ავლიდიდი, რომ იმის გასტუმრება ადვილი არ იყო. შუენს ერთხელ უნდოდა კიდეც წასულიყო იმ ათასის თუმნით, რომელიც ქორწინების მეორე დღეს მისცა ნანტამ, მაგრამ შემდეგ მოისაზრა, რომ ეს ოჯახი მდერივე წყალია, თევზი ადვილად დაიჭირება და ისევ დავრჩებიო. ეხლა ეს დედაკაცი კვლავ შემთხვევას ელოდდა, რომ ერთი იმდენი ფულიც აელო და სახლი ეყიდნა რუანვილში, ის სახლი, რომლისაგანაც სიყმაწვილეშივე ალტაცებაში მოდიოდა.

ნანტა არ ერიდებოდა, არას ებოდიშებოდა, შეიყვანდა ხოლმე თავისს სამუშაო ოთახში და სთხოვდა, რომ ფლავიას საქციელს ადევნე თვალ-ყური, მაგრამ შუენი თაკილობდა ასეთს მონდობილებას, ვითომ-და ვინა ვგონივართო.

— კმარა, არა მცალიან, საქმისთვის მცლიან. მოკლედ გადავჭრათ საქმე და გადავწყვიტოთ რამეო, უთხრა ნანტამ.

მაგრამ ის-კი ამ სახით გამოთქმულს თხოვნას არ უსრულებდა. მართალია, წინააღმდეგი არ იყო ამ მონდობილებისა, მაგრამ თაკილობდა იმის კისრად ღებას, რაც ჯაშუშობად წოდებულია.

— მაშ კარგიო! უპასუხა ნანტამ: საქმე აი რაშია... ამ ბოლოს დროს შევატყე, რომ ჩემი ცოლი რაღასაც ნაღვლობს, გულ-ჩახურულია, გუნებაზედ არ არის. იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით და მიზეზს შემიტყობთ.

— იმედი გქონდეთო, უთხრა დედობრივის მზრუნველობით შუენმა: ფლავიასათვის თავ-გადადებული ვარ და არაფერს დავიშურებ, ოღონდ-კი ბედნიერნი იყვნეთ... ხვალინდელ დღიდგან თვალ-ყურის გდებას დავუწყებ.

ნანტა დაჰპირდა, რომ შრომის დაგვარად დაგაჯილდოვებო. პირველში შუენი გაუწყრა ფულის ხსენებისათვის, მაგრამ შემდეგ-კი სცდილობდა, უფრო მეტი ოქრო გამოეტყუებინა. კარგა ხნის ბაას შემდეგ მორიგდნენ, რომ ათასი თუმანი უნდა მომცე, თუ ფლავიას ურიგობა, ან რიგიანობა აშკარად, ნათლად დაგიმტკიცეო.

ნანტა დაწყნარდა. გაიარა სამმა თვემ და ამ ხნის განმავლობაში სულ ბიუჯეტის განხილვას უნდებოდა. იმპერატორის ნება-დართვით ყმაწვილი კაცი დიდ ცვლილებათა შემოღებას აპირებდა საფინანსო წეს-წყობილებაში. იცოდა, რომ პალატაში დიდ-ძალი მოწინააღმდეგე აღმოაჩნდებაო, და ამიტომ ბევრს საბუთს მოუყარა თავი. მთელს ღამეებს საქმეში ათენებდა და ამიტომ უფრო დამშვიდდა, უწინდელებრ აღარ უშფოთავდა გული. შეხვდებოდა ხოლმე შუენსა და სულ-სწრაფად დაუწყებდა გამოკითხვას: ხომ არსად წასულა ფლავია, ან იმასთან ხომ არავინ ყოფილაო? შუენი ნუსხასა სწერდა ფლავიას საქციელისას, მატიანეს ადგენდა იმის ცხოვრებისასა და დაჰპირდა, რომ ჩქარა მოგიტან ამ საბუთებსაო.

ასე ამბობდა ეს დედაკაცი და ნამდვილად-კი თავის მოქმედების გეგმის მოფიქრებაში იყო. ამ სამსახურისთვის ათასს თუმანს მიიღებდა და იმას-კი ორი ათასი აკლდა. უნდოდა ქალბატონისათვისაც გამოეტყუენა რამე, მაგრამ ჰშიშობდა ვაი თუ, გავუხსენებ თუ არა, კინწის კვრით გამისტუმროს სახლიდგანაო.

ჯერ ნანტას არც-კი ეთხოვნა, რომ შუენი გაფაციცებით ადევნებდა თავის ქალბატონს თვალ-ყურს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბატონების უგზო-უკვლოდ სიარული მოსამსახურეებისათვის ბედნიერებააო. მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ფლავია მეტად ამაყი იყო და თავისს პატიოსნებას არავის შეალახვინებდა.

თავისს ერთს შეცდომას შემდეგ ყმაწვილს ქალს ყველა კაცი სძულდა და ეზიზღებოდა. ამას წინად ძალიან ეწყინა, როცა შუენმა უამბო, რომ დე-ფონდეტი შემომეყარა გზაში, დამიწყო ლაპარაკი, სულ თქვენა კით-

*) იხ. „ივერია“ №№ 237, 238 და 243.

თველია სიებით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ქართველობა გულგრილად არ მოეკიდება თავისს მოქალაქობრივს უფლებას, მივა კრებაზე და მისცემს თეთრს კენჭს იმ ქართველებს, რომელნიც უფრო ცნობილნი არიან თავიანთის ცოდნა-გამოცდილებით, თავიანთის კეთილ სინიდისიერებითა და საზოგადოდ ქართველობის გულ-შემატკივრობით. პირველ რიგის ხმოსანთა-შორის მხოლოდ შვიდი ქართველი კაცი იქმნა არჩეული ხმოსნად, დანარჩენნი 17 კაცი სხვა ტომისანი ამოირჩიეს. მეორე რიგის 24 ხმოსანში არც ერთი ქართველი არ იქმნა ამორჩეული, იმიტომ რომ ქართველები ამომრჩევლები ცოტანი მივიდნენ კენჭის ყრაზედ. სასურველია, რომ დღეს მაინც თავი გამოიდონ ქართველმა ამომრჩევლებმა, მივიდნენ არჩევანებზედ და თავიანთი კანდიდატები აირჩიონ. საარჩევანო კრება დანიშნულია დღეს, დილის 9 საათზედ თ. ივ. მუხრან ბატონის სახლში, გოლოვინის პროსპექტზედ, სადაც ტფილისის კლუბია.

*** ამიერ-კავკასიის რკინის-გზის საფოსტო და სახალხო მატარებლით ბათუმიდგან პარასკევს, ამ თვის 16, ჩამოიყვანეს ერთი ვილაცა საბრალო გლეხის ბიჭი, რომელიც მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა და მარცხენა მკლავი დაუმსხვრევია. დაშავებული რკინის-გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** ბათუმი: ამ დღეებში აქ, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილებას დანიშნული აქვს განსახილველად რამდენიმე საქმე. სია ამ საქმეებისა უკვე გამოკიდებულია სასამართლოს კარებზედ. ბათუმის საზოგადოების ყურადღება მიქცეულია უფრო იმ საქმეზე, რომლის გამოც ერთს ბათუმის საქალაქო საბჭოს წევრს ბრალდება დაზღვეულის სახლის დაწვა. ყველა მოუთმენლად მოელის ამ საქმის განხილვასა და უნდა მალე შეიტყოს, რა მსჯავრს დასდებს იმის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილება.

*** გურია: მილდიუმა და ნაცარმა დიდი ხანია აიკლო ჩვენი ვაზები. ოცი წელიწადი იქნება მას უკან, რაც ნაცარი შემოგვეჩვია და ხელი აგვაღებინა ღვინის მოსავალზედ. ვაზები-კი ისევ სდგას, მაგრამ მოსავალი არა მოაქვს-რა. გაზაფხულზე გამოიღებს ფოთოლს, მაგრამ მაისსა და ივნისში უყვითლდება, უჭორფლიანდება შავად და სცვივა. ერთის სიტყვით, გურია სწორედ ბუდეა ნაცრისა და მილდიუსი, მაგრამ არავითარს ღონის-ძიებას-კი არავინ არ ხმარობს. რა-კი ადგილობრივმა ვაზმა ასე გვიღალატა, გავაჩინეთ „იზაბელა“, ადესის ვაზი, რომელმაც კარგად იხეირა. ღვინო მისი მდარეა, უვარგისი, მაგრამ მოხერხებითა და ოსტატობით ისეთს ღვინოს აყენებენ ამ ადესის ყურძნისას, რომ უკეთესს ჩვენებურს ღვინოებს არ ჩამოუვარდება.

*** ჩოხატაური (გურია): საზოგადოდ ჩვენს დაბებში დიდი უსუფთაობა და ბინძური [illegible], მაგრამ ჩოხატაურში კიდევ უფრო უარესია, სიმთვრალე და ლოთობა ხომ გარდამეტი. ამას კიდევ ჩხუბი და უწესოებაც ბევრი მოსდევს. გულ-გრილობა და დაუდევრობა ყველაფრის შესახებ, რაც-კი ჩვენის ქვეყნისა და ქართველობის ავ-კარგიანობის გამო ისმის, ჩვენში დიდია. წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის კითხვის ხალისი თითო-ოროლასაც არა აქვს. სიძვირე და უვარგისობა სანოვაგესი, ხორცისა და პურისა, კარგა საგრძნობელია. პური ხშირად მჟავე და ცომი იყიდება.

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ის გუშინდელს 261 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ თ. ნ. დიასამიძისა:

„ბ-ნო რედაქტორო, თქვენის გაზეთის 257 ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ანტონ ფურცელაძისა იმ სამწუხარო უსიამოვნობის გამო, რომელიც მე და იმას მოგვივიდა. მე არა მწადიან შევუდგე აქ იმის დაწვრილებით გარკვევას, თუ რამდენად მართალია ის ბრალდებანი, რომელსაც ბ-ნი ანტონ ფურცელაძე მე მაწერს. პოლემიკის გაბმა არა მსურს. ჩემის აზრით, გაზეთის ფურცლებზედ ძნელია გამოირკვეს ყველა ის მიზეზი, რა მიზეზითაც კერძო კაცთ უსიამოვნება ჩამოუვარდებათ ხოლმე სრულებით საინტერესოც არ არის ამ მიზეზების ამბავი მკითხველებისათვის.

ბ-ნი ფურცელაძე მაბრალებდა, ვითომ მე დავხარჯე ფული გორის მომხმარებელთა საზოგადოებისა—ეს გარემოება დამტკიცებულიც არისო—და კიდევ იმასაც მაბრალებდა, რომ მე პირველმა ავიღე ხანჯალი და თავს დავესხი უიარაღო კაცს. ხანჯლის ამოღებასა და თავ-დასხმას რაც შეეხება, ეგ სასამართლოს საქმეა და იმედიცა მაქვს მართალი არ დაიმალება და სრულიად გამოირკვევა. ხოლო იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მართალია, ვითომ მე დავხარჯე და გავფლანგე რაღაც ფული, მე მსურს წინადადება მივცე ბ-ნ ფურცელაძეს, ეგ საქმე მივანდოთ მედიატორეთა სამართალსა. მაგრამ თქვენის გაზეთისვე 259 ნომერში დაიბეჭდა უცნაური შესწორება წერილისა და ამ შესწორებაში უარყოფილია ბ-ნ ფურცელაძის მიერ ამბავი ფულის გაფლანგვისა, ხოლო ბრალს ყოველ ამისას იგი სდებს სტამბას, რომელმაც ვითომ ნომერი გაზეთისა არია და ამ არევით ბ-ნ ფურცელაძის წერილის აზრიც გადაასხვაფერა. ამ წერილის „შესწორების“ დაწვრილებულს განხილვაში არ შევალ, ხოლო ვეტყვი ბ-ნს ფურცელაძეს, გადასცეს საქმე გასარჩევად მედიატორეთა სამართალს, რომელსაც შეუძლიან განმარტოს; რამდენად მოსაწონია კაცს ბრალსა სდებდე, ლაქა მოსცხო, შემდეგ უარ-ჰყო შენივე სიტყვები უცნაურის „შესწორებით“ და სტამბას მიახვიო თავს შენის აზრის გადასხვაფერება, სტამბას, რომელიც როგორც მიხვდება ყველა, ვინც-კი იცის სტამბის ხელობა, აქ სრულიად არაფერს შუაშია. მედიატორეთა სამართალსავე შეუძლიან განმარტოს, რა აზრით ხელ-მძღვანელობდა ბ-ნი ფურცელაძე, როცა ისეთს რამდენსამე მძიმე ბრალსა მდებდა, ბრალსა, რაოდენადმე თვის მიერვე უარ-ყოფილს; განმარტოს აგრეთვე, რად იწვევდა მოწმეებს, გამოსთქვას გაზეთში, რის მნახველნიცა ხართო და თან-კი არწმუნებდა წერილში მკითხველს, რომ მე არა მსურს ვსდევნო დიასამიძეო. საზოგადოდ მედიატორეთა სამართალმა უნდა გამოარკვიოს სრულად და სავსებით საქმე ამ ბედკრულის ამხანაგობისა და გაარკვიოს, რაში ვარ დამნაშავე მე და რა „მოქალაქობრივი წრფელი და წმინდა განზრახვანი“ აქვს ბ-ნ ფურცელაძეს. იმედი მაქვს, ბ-ნი ფურცელაძე არ დააგვიანებს პასუხს თავის თანხმობისას მედიატორეთა სამართალის თაობაზე“.

*** ამ თვის 16 ღამით, საზოგადო ქუჩაზე, ქვრივის ეკატერინე გასნევსკის სახლიდგან მოიპარეს: ხალიჩა, სუფრა, ორი მუთაქა და ორიც აბრეშუმის კაბა სულ ღირებული 133 მან. პატრონმა ეჭვი ტფილისის მცხოვრებელს გრიგოლ ტარასენკოზე გამოაცხადა, რომელიც უკვე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს სამსახურს გარეშე მყოფ ჯარის-კაცის შვილმა დიმიტრი აქიმოვმა, 12 წლისამ და ტფილისის მცხოვრებელის შვილმა სერგეი სემენოვმა, 9 წლისამ ახლად გაყვანილს ქუჩაზე მინდორში თოფის წამალს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლმა აქიმოვს პირი და ხელი დასწვა და მეორეც მსუბუქად დაშავდა. აქიმოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ კვირია უნდა გაარჩიოს სახელმწიფო საბჭომ იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი ბავშვების შვილად აყვანის შესახებ. კანონ-პროექტის შინაარსი ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რადგან ამის შესახებ მეთაური წერილიცა გვქონდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. უმთავრესი დედა-აზრი პროექტისა ის არის, რომ გააუქმოს აწინდელი კანონი, რომლის ძალითაც ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია ქორწინებას გარეშე დაბადებულ უმაწვილების შვილად აყვანა. კანონ-პროექტით, შვილობილის აყვანა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც შვილი სულ არა ჰყავს. მოქალაქეებსა და გლეხებს ნება არ ეძლევათ სხვა წოდების ბავშვი იშვილონ. ქონებრივი და პირადი უფლება ისეთივე უნდა ჰქონდეთ შვილად აყვანილებს, როგორიც კანონიერს შვილებსა აქვთ. დასასრულ კანონ-პროექტი ამბობს, რომ შვილობილად აყვანა შეუძლებელია იმ ყმაწვილისა, რომელიც ან ცოლიან კაცისა და ან ქმრიან დედაკაცის სიმრუშის ნაყოფია. საყურადღებოა ამ საგნის შესახებვე ამას წინად დაბეჭდილი რუსეთში პაწია წიგნაკი. ა. ვ. ვასილიევისა: „Объ узаконеніи и усыновленіи дѣтей“. ვასილიევს ამ საგნის შესახებ ეკლესიის მამათა აზრი მოჰყავს და ამბობს, რომ

საეკლესიო მოძღვრების ძალით ადამიანის რომელსამე კავშირს შეიძლება

---

ხულობდით, ასე რომ დავრწმუნდი, კიდევა ჰყვარებიხართო.

ამაზედ შედგა შუენი—ერთსა და იმავე დროს ვემსახურები ქმარსაცა და დე-ფონდეტსაცა და ამით ჩემს სურვილს განვიხორციელებო.

გაიარა ერთმა კვირამ და ამ ხანში, კარგა ხნის მოლაპარაკებასა და ბაასს შემდეგ, საქმე გადასწყდა: ფონდეტი ათასს თუმანს დაჰპირდა, ოლონდ-კი მომიხერხე როგორმე და ფლავიას საწოლს ოთახში დამმალეო.

დილა ადრიანად მოხუცი დედაკაცი შევიდა იმ ოთახში, სადაც უკვე კარგა ხანი იყო ნანტა ჰმუშაობდა.

— შემიტყვეთ რამეო? ჰკითხა მან და ფერ-ფური წაუვიდა.

შუენმა ჯერ პირველად გარკვევით არა უთხრა-რა, სიტყვა გაუკრა მხოლოდ, რომ აშკარაა, ფლავიას საყვარელი ჰყავს და ხშირად ჰხედავს ხოლმეო.

— მართლა, ეგრე-კია! იმეორებდა ყმაწვილი კაცი და მოუთმენლად ელოდდა თავის მეტოქეს სახელი გაეგონა.

ბოლოს შუენმა დე-ფონდეტი დაასახელა.

— დღეს ქალბატონის საწოლში იქნება.

— ძალიან კარგი, გმადლობთო, ჩაიჩურჩულა ნანტამ, წამოდგა და ოთახში ბოლთის კვრა დაიწყო.

— დღეს საღამოს... იმის ოთახში...

ნანტამ ორივე ხელები შუბლზედ იტაცა, ასე ეგონა თავის ქალა მისკდებაო.

დიდ უსირცხვილობად მიაჩნდა საყვარლის ქმრის სახლში შემოყვანა. მუშტები ეკუმშებოდა და თავში აზრად მოსდიოდა, რომ სისხლი უნდა დაიღვაროსო.

ამასობაში საქმე გასათავებელი ჰქონდა. სამჯერ ჩაუჯდა სამუშაოს, მაგრამ ველარ მოითმინა და სამჯერვე ცოფიანსავით ფეხზედ წამოვარდა, რაღაცა ძალას ატანდა, რომ ეხლავე ადი შენს ცოლთან და ღირსეულად დასაჯეო. ბოლოს თავი შეიმაგრა, ჩაუჯდა საქმესა და დაიფიცა, რომ დღესვე ჩემისავე ხელით დავარჩობ ორივესაო.

შუადღისას ნანტა იმპერატორთან იყო და ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა. მცირეოდენს ლაპარაკს შემდეგ ბიუჯეტი მოწონებულ იქმნა და ხვალ პარლამენტში უნდა წარედგინათ.

— თქვენო უდიდებულესობავ, ამაღამ მოვრჩები ხვალ, დილისათვის მზად მექნება.

სახლში რომ დაბრუნდა, გადაწყვეტილი ჰქონდა: შუაღამისას იმათ დავხოცავ და შემდეგ გათენებამდე მოვასწრობ საქმის გათავებასაო.

სადილის დროს ბარონი დანვილიე დიდხანს ჰლაპარაკობდა ამ ბიუჯეტის პროექტის შესახებ, რომელმაც დიდი ალიაქოთი და მითქმა-მოთქმა ასტეხა. თუმცა ბარონი ყველაფერში არ ეთანხმებოდა თავისს სიძეს, მაგრამ მაინც იმისი პროექტი ძალიან მოსწონდა.

ბარონთან ლაპარაკის დროს ნანტამ რამდენჯერმე შენიშნა, რომ ფლავია ხშირად თვალს აშტერებდა, თითქოს იმის სახეზედ რიღასიც ახსნას ეძებსო. ყმაწვილს კაცს ეგონა, ალბად შიშობს, ჩემი საქციელი ხომ არ შეუტყვია და იმიტომ თუ მიყურებსო. დიდი ძალის დატანება დასჭირდა, რომ გულ-გრილად სჩვენებოდა ცოლს. ნანტამ ბევრი იბაასა, თავისი აზრი განუმარტა ბარონს და იმითი გაათავა, რომ სულ ერთიანად დაიყოლია მოხუცი თავისის გონიერისა და მჭევრად ლაპარაკის წყალობით.

ყმაწვილი კაცი შუაღამემდე მუშაობდა თავისს ოთახში. ცოტ-ცოტა ყველაფერი დაავიწყდა და ამ საფინანსო მანქანის მეტი აღარა ახსოვდა რა. როცა საათმა თორმეტი დაჰკრა, მან თავისდა უნებურად თავი აიწია.

დაურღვეველი დუმილი ჰმეფობდა სახლში. გაახსენდა, რომ ამ წყვდიადსა და დუმილში დე-ფონდეტი ეხლა ჩემ ცოლთან არისო.

დიდი შრომა დასჭირდა სავარძელიდგან წამოდგომისათვის. სინანულით დასდო კალამი და გაიარ-გამოიარა ოთახში, თითქოს აჩქროლებული გული უნდა დაიწყნაროსო. უეცრად ლოყები წამოუჭარხლდა, თვალები აენთო და პირდაპირ ცოლის ოთახისაკენ გასწია.

ამ საღამოს ფლავიამ პირის-ფარეში გოგო ადრე გაისტუმრა, მარტო უნდოდა დარჩენა. შუაღამემდე საწოლის გვერდით მყოფ პაწია ოთახში იყო რბილ ტახტზედ წამოწოლილი და სცდილობდა ეკითხა, მაგრამ წიგნი ხელიდგან უვარდებოდა, ფიქრი სძლევდა და თვალი უშტერდებოდა.

ყმაწვილი ქალი უეცრად წამოხტა. კარები ვიღამაც დაუკაკუნა.

— ვინ არის?

— გააღეთ! დაუძახა ნანტამ.

ქმრის მისვლა ისე მოულოდნელი იყო ფლავიასათვის, რომ თავისდა უნებურად გააღო კარები. იმისი ქმარი ასე გვიან არასოდეს ყოფილა მასთან.

— თქვენს საწოლ ოთახში კაცია დამალული, უთხრა მან. ფლავიამ ერთბაშად პასუხი ვერ მისცა, ფიქრით ჯერ ისევ შორსა ჰქროდა. ბოლოს მიხვდა.

— გაგიჟდით, თუ რა დაგმართებიათ!

ნანტამ კამათი აღარ გაუწია და ხმა-ამოუღებლივ საწოლისკენ გაემართა, მაგრამ ფლავიას თვალის დახამხამების უმალ კარებში ჩაუდგა და წინ გადაელობა.

— ვერ შეხვალთო, წამოიძახა მან: მე აქ ჩემს სახლში ვარ და ამიტომ აღმიკრძალავს თქვენთვის იქ შესვლა.

ფლავია აკანკალებული იდგა უძრავად და კარებს არა ჰშორდებოდა. მცირეოდენს ხანს ცოლ-ქმარნი ჩუმად შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ნანტას ხელები წინ ჰქონდა გაწვდენილი და მზად იყო დაეხრჩო თავისი ცოლი.

— გზიდგან მომშორდით! შესძახა მან ბოხის ხმით: შევალ, უეჭველად შევალ, იმიტომ-რომ თქვენზე ღონიერი ვარ!

— არ შეხვალთ, მე არ მინდა, რომ შეხვიდეთ!

— თქვენს საწოლს ოთახში კაცია... დიახ, კაცია... იმეორებდა ცოფ მორეულსავით ნანტა.

ქალმა პასუხი არც-კი აღირსა, არც-კი უარ-ჰყო ასეთი ბრალი, მარტოოდენ მხრებს იშმუშნიდა. რა-კი ქმარმა ერთი ნაბიჯიც გადადგა წინ, ქალმა გზა დაუთმო.

— ჩემს საწოლ ოთახში რომ იყოს კიდეც ვინმე, თქვენი საქმე არ არის! გაიწყდებათ, რომ თავისუფალი ვარ!

ნანტას ეს სიტყვები სილასავით მოხვდა და უკან დაიხია. მართლაც და იმისი ცოლი განა თავისუფალი არ იყო? ტანში ჟრუანტელმა დაურბინა და იგრძნო, რომ აჟინიანებულ ბავშვსავით ვიქცევიო. ამ გარემოებას სულ არ მოელოდდა ვნებისაგან გატაცებული და ამიტომ დავთარი დაებნა. სისხლი თავში აუვარდა და სახეზედ გულში ნაგუბი აუტანელი ტანჯვა გამოეხატა.

ფლავიამ შენიშნა იმისი ტანჯვა, საწოლ ოთახის კარები გააღო და ნაზად უთხრა:

— მიბრძანდითო.

ნანტა უძრავად, გაკლდევებული იდგა კარებთან და ხელით ანიშნა, რომ არ მინდა, არ შევალო. ახლა ქალი არ მოეშვა, უეჭველად უნდა შეხვი-

მრუშობა ეწოდოს, მაგრამ ის-კი აღარსაიდგანა სჩანს, რომ ეკკლესია კანონიერადა და უკანონოდ დაბადებას ბავშვისას ჰსაზღვრავდესო. ეკკლესიის მოძღვრება იმდენად წმიდაა და კაცთ-მოყვარე, რომ მშობელთა უუდიდესს ცოდვასაც-კი სრულიად უდანაშაულო ბავშვს ვერ მოახვევს თავს. ასეთის განსაზღვრისა და განაწილების დაკანონებაც არაფრით არის დასაბუთებული, ამიტომ სრულიად უნდა განიდევნოს ჩვენის კანონ-მდებლობიდგან სიტყვა „უკანონო შვილიო“ და გაუქმდეს კანონთა კრებულის მე-X წიგნის პირველ ნაწილის მე-132 მუხლი. დეე ეკკლესიის მოძღვრების თანახმად, ადამიანთა კავშირს კანონიერი, ან უკანონო ეწოდებოდეს, მაგრამ ყმაწვილები-კი, უკანონო კავშირის ნაყოფნი, დედის გვარზედ მაინც ინათლებოდნენ და იმის ქონების მემკვიდრეებად მაინც ითვლებოდნენ. ხოლო თუ მამა არ იტყვის უარს და თავის სახელს უწოდებს, სამოქალაქო კანონი რად უნდა გაერიოს ამ საქმეში და რად უნდა ჩამოერთვას ასეთს ყმაწვილს მშობლის ქონების მემკვიდრეობის უფლება, თუ დარწმუნებულია, რომ წინ რომ არ გადავეღობო, ეს ყმაწვილი უფრო სასარგებლო წევრი გამოვა საზოგადოებისათ.

**ბ-ნი ვასილიევი იმ აზრისაა, რომ რაც შეიძლება გაადვილებულ უნდა იქმნას შვილად აყვანის საქმე და წინ არა უნდა ედობებოდეს-რაო. იმის აზრით,**

შვილად აყვანის ნება უნდა მიეცეთ იმათაც-კი, რომელთაც თავისი საკუთარი შვილები ჰყავთ. დეე შეიყვანონ შვილობილნი თავისს ოჯახში, აღზარდონ და კეთილს გზაზედ დააყენონ ობლები. ეს სრულიად არ დაარღვევს კანონიერ შვილების ქონებრივს ინტერესს და, ესეც რომ არ იყოს, ამ ინტერესის დაცვასთან სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს. ქონებრივის სამკვიდროსათვის ხშირად კანონიერი შვილები მშობლის სიკვდილსა ჰნატრობენ და ნუ თუ სახელმწიფო უნდა თანაუგრძნობდეს იმათს სურვილსა და სამარცხვინო მოუთმენლობას?

**დასასრულ ვასილიევი ყოველსავე თავისს ნათქვამს ამ საგნის შესახებ ერთად უყრის თავს და ამბობს, რომ**

1) შვილად ყმაწვილის აყვანის უფლება ყველა წევრს უნდა ჰქონდეს საზოგადოებისას, თუნდა ჯვარ-დაუწერელიც იყოს.

2) თუ ყმაწვილს მამა ან დედა ჰყავს (სულ ერთია კანონიერის კავშირის ნაყოფი იქნება იგი, თუ არა), ანუ ნათესავენი, რომელნიც ჰზრუნავენ მისთვის, მაშინ მისი შვილადვისგანმე აყვანა მზრუნველების ნება-დართვით უნდა გადასწყდეს.

3) შვილად აყვანის საქმეში ერთ გვარი უფლება უნდა ჰქონდეთ კაცსაც და დედაკაცსაც, ხოლო თუ ცოლ-ქმარნი არიან, მაშინ-კი საერთო თანხმობით უნდა მოხდეს ეს საქმე.

4) შვილობილს თავისს მამობილ-დედობილის ოჯახში, თუ სხვა ყმაწვილებიც არიან, ისეთი ადგილი უნდა ეჭიროს, როგორიც იმისს წლოვანებასა და სქესს შეეფერება.

**ამ საგნის გადაწყვეტა მით უფრო შესანიშნავია რუსეთისათვის, რომ თვით რუსეთის განმანათლებელი ქრისტიანობის მხრით წმ. ვლადიმირი „მონის შვილი იყო“, ეხლანდელის კანონ-მდებლობით — უკანონოდ დაბადებული. უკანონოდ რუსეთში ყოველ წლივ დიდძალი ყმაწვილი იბადება და სწორედ ეკკლესიისა და სამოქალაქო კანონ-მდებელობის მოვალეობაა, რომ დედ-მამანი და მზრუნველნი განუჩინოს ამ ობლებს, რომელნიც უპატრონობით ხშირად იღუპებიან და საზოგადოების მავნებელს გზას ადგებიან.**

## რუსეთი

სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესობის შესახებ ლაპარაკი და სჯა უკანასკნელს დროს უფრო და უფრო გახშირდა. ერთის მხრით გაზეთები და მეორეს მხრით სხვა-და-სხვა სამეურნეო საზოგადოება ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ დახანება აღარ შეიძლება და ეხლავე უნდა შევუდგეთ ყველა ჩვენგან შესაძლებელ ღონისძიებათა ხმარებას ჩვენის მეურნეობის გაუმჯობესებლადაო, მაგრამ აქამდე თქმისა და ცალიერის ლაპარაკის მეტი არა გაკეთებულა-რა. უკანასკნელად სჯა ამ საგანზე ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-VIII კრებას ჰქონდა. ამ კრების გამგე კომიტეტმა სთხოვა საერო განათლების სამინისტროს, თანახმად ბილდერინგის პროექტისა უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებში საავრონომიო სადგურები გამართეო. გრაფმა დელიანოვმა, ვიდრე ამ თხოვნას შეასრულებდა, ჯერ საზღვარ-გარედ სამეცნიერო აზრით გაგზავნილს პროფესორს ლიაკოვკის დაავალა, დაათვალიერე და შეისწავლე გერმანიის უნივერსიტეტებთან დაარსებული სხვა-და-სხვა სამეურნეო დაწესებულებაო. პროფესორმა ლიაკოვსკიმ უკვე შეასრულა მინდობილება და სამინისტროს მოახსენა, რომ გერმანიის იმ უნივერსიტეტსა, სადაც სამეურნეო განყოფილებებია, მხოლოდ ლაბარატორიები და სამაგალითოდ შესამუშავებელი მიწები აქვს და გალლისა, ბონნისა, მეკკერნისა, ბერნბურგისა, ტარანტისა, დარმშტატისა და მოგენგეიმის სამეურნეო სადგურები სრულიად ცალკე არსებობს უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლადაო. ამ სადგურებმაო, ამბობს პროფესორი ლიაკოვსკი: დიდი სარგებლობა მოუტანა და გააუმჯობესა გერმანიის სასოფლო მეურნეობა. ბევრი სამეურნეო მეცნიერების სხვა-და-სხვა საკითხავი აიხსნა და გამოირკვა ამავე სადგურების შემწეობით, თუმცა სადგურებს თავის თავ და თავ საგნად მეცნიერება-კი არა, პრაქტიკა—სხვა-და-სხვა მცენარეებსა და თესლეულობის მოვლა-მოყვანა აქვს. თითქმის ყოველს სადგურზე ყოველ ჟამს რაიმე მეცნიერული სამეურნეო კვლევაა, მაგრამ ეს საგანი არავისთვის სავალდებულო არ არის და თავიანთის ნებით სჩადიან ამას. თვით სამეურნეო სადგურებიც ერთი მეორისაგან განირჩევა თავისის სამუშაოთი. ერთი სადგური მხოლოდ მიწის გაპოხიერების საგანს ადგია, მეორე სხვა-და-სხვა თესლეულობის უკეთესად მოვლა-მოყვანისას, მესამე თვალ-ყურს ადევნებს საქონლის საკვების მოყვანასა და სხვ... ამის გამო, პროფესორ ლიაკოვსკის აზრით, შეუძლებელია, რომ რუსეთის უნივერსიტეტებთან გაიმართოს სამეურნეო სადგურები, რადგან პროფესორებს არ შეეძლებათ ნიადაგ, განუწყვეტლივ სულ ამ სადგურებს უგდონ ყური და თავისს პირდაპირ მოვალეობას-კი მხარი აუქციონ. სამეურნეო სადგურების გამართვა ისევ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა იკისროსო. რადგან ლიაკოვსკი ასეთს აზრზე დადგა სამეურნეო სადგურების დაარსების შესახებ, საერო განათლების სამინისტრომაც ეს მოხსენება და ბილდერლინგის პროექტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადასცა. ამ სამინისტროში ცალკე კომისიაა მინისტრის ამხანაგის ვეშნიაკოვის თავმჯდომარეობით შემდგარი იმ აზრით, რომ ღონის-ძიებანი იხმაროს რუსეთში უმაღლეს სამეურნეო სწავლის გასავრცელებლად, და იმან უნდა განიხილოს ლიაკოვსკის მოხსენება და ბილდერლინგის პროექტი.

— კიშინევის მაზრის სოფელს ტრუშენში შემდეგი უბედურება მოხდა. გლეხმა ბუგაიმ შეამჩნია, რომ იმის ბაღჩას ვილაცა შეეჩვია და ღამ-ღამობით ხილს იპარავდა. ერთს ღამეს უყარაულა თოფით ხელში და დაინახა თუ არა, რომ ბაღში ვილაც არისო, დაუყვირა, ვინა ხარ მანდაო. რაკი ქურდმა ხმა არ გასცა, ბუგაიმ მაშინვე თოფი ესროლა და იქვე წააქცია. გაისმა საზარელი წივილი და ბუგაიც იმ წამსვე იქ გაჩნდა, მაგრამ ვაი იმის ნახვას!—ბუგაის მოეკლა თავისი საყვარელი ერთად ერდი ქალიშვილი. გამწარებული მამა გაიქცა, შევარდა თავლაში და თავის მოკვლა დააპირა. მარყუჟში კიდეც გაეყო თავი, ჩამოკიდებულიყო, მაგრამ მიასწრეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

— ერთს რუსულს გაზეთში შემდეგი უცნაური ამბავი სწერია: „დროებით მცხოვრებელი სემიპალატინსკისა, ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ქ. ერთს ღამეს დაძინების წინ ლოგინში იყო წამოწოლილი, სანთელი ენთო და გაზეთს კითხულობდა. ბოლოს სანთელიც გააქრო და ძილი დააპირა, მაგრამ არ გასულა ერთი წუთი, რომ თავის მამის ხმა გაიგონა: „შვილო, მიშველე, მკლავენო“. წამოდგა, სანთელი აანთო, მაგრამ ოთახში არავინ არ იყო. ეს ამბავი მოხდა ღამის მეორე საათის ნახევარზე. მეორე დღეს დეპეშა მოუვიდა შინიდგან: „წუხელის, ღამის მეორე საათზე მამაშენს ქურდები შეუცვივდნენ გასაძარცვავად და მოჰკლესო“.

## წვრილი ამბები

ეხლახან ილლინოისის მომრიგებელს სასამართლოში ერთი სწორედ რომ ამერიკული ამბავი მოხდა. 18 წლის ქალი ელენე კრემერი უჩიოდა ახალგაზდა თეოდორე ბორკმეიერს, დამპირდა შეგირთავო და ეხლა პირობას აღარ ასრულებსო. თეოდორემ გამოუცხადა მოსამართლეს, მე ეხლავე შევასრულებ ჩემს სიტყვასა და აბა კანონიერის ქორწინებით შევუუღლდეო. ამ დროს სასამართლოში შემოვიდა 28 წლის ქალი მერი რანჯერი, რომელიც თუმცა ლამაზი არ იყო, მაგრამ გვარიანი თანხა-კი ჰქონდა სამზითვოდ გადადებული. შემოსვლისათანავე უთხრა მოსამართლეს, რომ

---

დეო. თითონ ფლავია ანთებულის ლამპარით შევიდა ოთახში, მიიარ-მოიარა, მივიდა საწოლთანაც და ფარდები გადასწია. ფარდის უკანიდგან დე-ფონდენტმა გამოჰყო თავი.

ფლავიას ისე ელცა ეს ამბავი, რომ გაკვირვებით შეჰკივლა კიდეც.

— მართალია, დამალული ყოფილაო, ბუტბუტებდა ქალი: მაგრამ გეფიცებით მე არ ვიცოდი!

მერე ისევ შეჩერდა, ენაზედ იკბინა და თავის თავსავე ჰკიცხავდა, ასე სუსტი რადა ვარ, რომ თავის მართლება დავიწყეო.

— თქვენ მართალი ხართ და ამიტომ გთხოვთ შემინდოთო, უთხრა ქმარს ციედ.

ამასობაში დე-ფონდეტი ცუდს მდგომარეობაში იყო, გამოსულელებულსავით იდგა და ნანტას გაწყრომას სიამოვნებით ელოდდა. მაგრამ მინისტრი ხმას არ იღებდა. ფერ-მკრთალი ნანტა ჯერ დე-ფონდეტს შეჰყურებდა კარგა ხანს, მერე ფლავიას გადახედა, თავი დაუკრა და უთხრა:

— უკაცრავად, ჩემო ბატონო, თავისუფალი ხართო.

სთქვა ეს სიტყვები, გამობრუნდა და გამოვიდა. გულში თითქოს რაღაცა ძარღვი ჩასწყდა. შევიდა თუ არა თავისს სამუშაო ოთახში, მაშინვე უუთიდგან დამბაჩა ამოიღო და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— დროა ბოლო მოეღოს ამდენს აურზაურსაო.

ლამპარს სინათლე მოუმატა, დაჯდა და კვლავ საქმეს მიჰყო ხელი. ამ მყუდროებასა და დუმილში კალამი არხეინად მიცოცავდა ქაღალდზედ და ასოებით ავსებდა ფურცლებს.

ფლავიამ დე-ფონდეტი გააგდო, ფეხშიშველი ჩამოვიდა ძირს და ყური მიაპყრო სამუშაო ოთახის კარებს, საიდგანაც მხოლოდ კალამის წრიპინი გამოისმოდა. ბოლოს დაიხარა ქალი და გასაღების ადგილიდგან ცალის თვალით შეიხედა. ნანტა ისევე არხეინად სწერდა, სახეზედ სრული კმაყოფილება ეხატებოდა და ლამპარის მკრთალი სინათლე-კი დამბაჩის ბრწყინვალე ლულას დაჰნათოდა.

V

კარგა ხანია, რაც ნანტამ თავის სიმამრისაგან იყიდა ის სახლი, რომელიც სასახლის ბაღთან იყო. რაღაც აჟინების გამო არ გააქირავებინა ის ზემო სართულის პაწია ოთახი, სადაც ორი თვე ებრძოდა სიღარიბესა და ხელ-მოკლეობას. ხშირად ავიდოდა ხოლმე იქ, ჩაიკეტებოდა და წარსულის მოგონებაში იყო: აქ იტანჯებოდა, აქა ჰკლავდა წყურვილი სახელის განთქმისა და დიდების მოპოვებისა. ეხლაც, რაკი თავის მოკვლა გადასწყვიტა, აქ უნდოდა მოეღო თავისის სიცოცხლისათვის ბოლო.

დილის რვა საათი იყო, როცა საქმე გაათავა. ეშინოდა, ვაითუ დაღალულობამ და მოქანცულობამ სიტყვა დამარღვევინოსო, ცივი წყალი შეისხა პირზედ და მაშინვე რამდენიმე მოხელე დაუძახა. როცა მდივანი მოვიდა, ნანტამ უბრძანა, ხომ ეს ბიუჯეტის პროექტი დაუყოვნებლივ წაიღე ტიულიერშიო, და იმპერატორსაც ორიოდე სიტყვა მისწერა პროექტის შესახებ.

ეხლა-კი ჩემი მოვალეობა შევასრულეო, ამბობდა იგი: ყველაფერი წესსა და რიგში მაქვს მოყვანილი, გაკოტრებულსა და საფრთხეში მყოფს არაფრითა ვგევარ. ეხლა მევე ვეკუთვნი ჩემს თავს და ჩემს ნებაზედ შემიძლიან მოვიქცე, სიმხდალესა და თავმოყვარეობას ველარავინ შემომწამებს.

საათმა ცხრა დაჰკრა. დამბაჩას ხელი წამოავლო და ის იყო ოთახიდგან უნდა გასულიყო, რომ ამ დროს შუენი მივიდა დაპირებულ ათასის თუმნის მისაღებად. ნანტამ ფული დაუთვალა და ისე გაისტუმრა, რომ საწყენი არა უთქვამს-რა.

შემდეგ ავიდა მაღლა და სიჩქარით გასაღები კარებშივე დაავიწყდა. არაფერი შეცვლილიყო ამ ოთახში: კედლები ისეთივე ჭუჭყიანი იყო; საწოლი, სტოლი და სკამი უწინდელსავე ადგილას იდგა, ყველაფერს სიღარიბის სუნი უდიოდა. ნანტა კარგა ხანს ჰყნოსავდა ამ სუნს, რომელიც უწინდელს ბრძოლას უთვალისწინებდა. მივიდა ფანჯარასთან და იგივე პარიჟი დაინახა, იგივე ხეხილები, რომელიც სასახლეს ერტყა გარს, იგივ რიყე და მდინარე სენას მარჯვენა ნაპირი, სადაც დიდ-ძალი სახლის ბანები მოსჩანდა პერ-ლაშეზის სასაფლაომდე გაყოლებული.

ნანტა არა სჩქარობდა, დარწმუნებული იყო, რომ ხელს არავინ შემიშლისო; დამბაჩა იქავე იდო სამ-ფეხა სტოლზედ. ყმაწვილს კაცს ეგონა, რომ უწინდელივე დრო დაბრუნდა, ის დრო, როცა თავის მოკვლას ვიყავ იძულებულიო. მაშინ ღარიბი ვიყავ, იმდენი ფულიც არა მქონდა, რომ დამბაჩა მეყიდნა, და ქუჩის ქვაფენილზედ უნდა გადავშვებულიყავ, მაგრამ, როგორც ეხლა, მაშინაც სიკვდილი აუცილებელი იყო. კარგა ხანს ადევნა ცხოვრებას თვალი და დარწმუნდა, რომ ფესვ-მაგარი, სამუდამო ამ ქვეყნად ისევე სიკვდილი იყო, დანარჩენი-კი ამაო ამაოებათა.

დანანდა, რატომ მაშინვე არ მოვიკალი თავი, ათი წელიწადი უბრალოდ რაღაზედ გავიხანგრძლივე სიცოცხლეო. ცხოვრების გამოცდილებამ დაუმტკიცა, რომ სურვილი სიმდიდრის შეძენისა და სახელისა და დიდების მოპოვებისა ბავშვობააო. რად დაჰხარჯა ამდენი ძალა და ღონე, თუ-კი არც ერთი და არც მეორე არ გააბედნიერებდი? ვნებამ დაჰღუპა, ვნებამ. ფლავია შეუყვარდა და ამის წყალობით ის ძეგლი, რომელიც თითონვე აიგო, ისევე დაიმსხვრა და დაიშალა, როგორც სათამაშო ქაღალდის სახლი ბავშვის შებერვისაგან დაიშლება ხოლმე. სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს!

ნანტამ დამბაჩა აიღო და ნელა ჩახმახს ასწია. ამ უკანასკნელს წუთს თითონვე შეჰბრალდა თავისი თავი.

რამდენის რამის გაკეთებას შესძლებდა, ფლავიას რომ ერთად-ერთი სიტყვა ეთქვა: „მიყვარხარო“. ოჰ, მაშინ უეჭველად იპოვნიდა ამ ბერკეტსა და აზარმაცს, რომ ქვეყნის აწევა შესძლებოდა. ამ აზრთან ერთად ზიზღის ღიმილმა გადაურბინა სახეზედ: ყველაფრის შემძლე ძალა ფლავიას სიყვარულს ვერ უმკვიდრებდა. დამბაჩამ მაღლა აიწია.

საუცხოვო დილა იყო. მზის სინათლე ფანჯარაში შემოდიოდა და საოცარს ფერსა სდებდა იქაურობას. შორს პარიჟმა თავისი გოლიათური ფაცური დაიწყო. ნანტამ დამბაჩის ლულა საფეთქელთან მიიტანა.

უეცრად კარები გაიღო და ფლავია შევიდა. ერთის ხელის აქნევით ყმაწვილმა ქალმა ჩახმახ-დაძრული დამბაჩა საფეთქელს აალდინა და ტყვია ჭერს ეცა. ერთს წუთას ცოლ-ქმარნი უძრავად შესცქეროდნენ ერთმანეთს. ფლავია ისე მძიმედ იბრუნებდა სულს, რომ კრინტი ვერ დაეძრა. დასასრულ ყმაწვილმა ქალმა წარმოსთქვა ის ერთი სიტყვა, რომელსაც ისე ნეტარებით მოელოდდა ნანტა და რომელიც სიცოცხლეს ძვირად აფასებინებდა.

— მიყვარხარ! შესძახა ამაყმა ფლავიამ და ქვითინით გადაეხვია ქმარს: მიყვარხარ, იმიტომ-რომ ძლიერი ხარ!..

ო-ანი

მე მაგ ქალზე უფრო ადრე დამპირდა შერთვას ბოკმეიერიო და ამიტომ თუ შემირთავს, ისევ მე უნდა შემირთოს და არა ელენე კრემერიო. მოსამართლე კრემერს შეეკითხა, რომელი გნებავს შეირთო ამ ორშიო და თანაც დაუმატა, თუ მერის აირჩევ, ელენეს საჩივრის გამო დაგაპატიმრებო. კრემერი შეფიქრიანდა, პატარახანს ჩუმად იყო და ბოლოს უთხრა, მერის შევირთავ და თუ გადამიწყვეტთ, ციხეშიაც ჩავჯდები, რადგან ცოტაოდენი დანაშაული მიმიძღვის ელენესთანაო. მოსამართლემ განაჩენი არა დაადგინა-რა, რადგან ქალებმა რაღაც მოლაპარაკება დაიწყეს ერთმანეთში. მართლაც საქმე მორიგებით გათავდა. მერიმ იქვე 140 თუმანი დაუთვალა ელენესა და საქმრო თითონ დაინარჩუნა. მოსამართლემ მაშინვე კანონიერის ქორწინებით შეაუღლა ბოკმეიერი და მერი.

— ამას წინად გამოჩენილი მგალობელი ქალი სარა ბერნარი დუელში გავიდა და ხიშტებით ებრძოლა გაზეთ „Covrrier francais“-ის თანამშრომელს გაბრიელ მიუვეს. დუელი იმ ამბავმა გამოიწვია, რომ მიუვე თავისს რეცენზიაში სწერდა სარა ბერნარზე, „კლეოპატრას“ როლი კარგად ვერ შეასრულაო. გამარჯვებით სარა ბერნარმა გაიმარჯვა და ხელში დასჭრა თავისი მოწინაღმდეგე—მიუვე.

— ბერლინელ მხატვართა საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ 1891 წელს სამხატვრო საერთაშორისო გამოფენა გავმართოთ ჩვენის საზოგადოების 50 წ. იუბილეის სადღესასწაულოდაო.

— სანტ-იაგოს არქიეპისკოპოზმა ბრძანება გასცა თავისს ეპარქიაში, ჯვარს ნურავის დასწერთ, თუ თეთრის ტანისამოსით მოვიდნენო. პატარძალს უთუოდ შავი კაბა უნდა ეცვას და თეთრი მხოლოდ პირბადე და ხელთათმანები შეიძლება იყოსო.

## დეპეშა

17 ნოემბერი

პეტერბურგი. „С.-Петерб. Вѣд“-ი ამბობს, რომ ხელ-შეკრულობა, დადებული სპარსეთსა და რეიტერს შორის ამ უკანასკნელის-მიერ სახელმწიფო ბანკის დაარსების თაობაზე თეირანში, თავის თავად გაუქმდებაო. რეიტერმა არ შეიტანა ცხრა თთვის ვადაზე ზედ 40,000 გირვანქა სტერლინგი ნაღდ ფულად და მით დაარღვია პირობა ხელ-შეკრულობისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბერი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 137½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 234½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 213 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 210½ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა უოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვალზე გემები.

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

**საგულისხმიერო აზრები**

ვეფხვის ტყაოსნიდამ

შედგენილი და გამოცემული ნიკო ველის-ციხელის მიერ.

ფასი ორი შაური

---

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა წიგნების გამომცემის ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

**ქართული წერის დედანი**

და

ხატვის ნიმუშები

შედ. ს. დათეშიძისაგან.

ფასი ხუთი შაური

---

საკოსმეტიკო სპერმაცევტული პირის

**საწმენდავეპს**

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

სპარმაცევტულ პირის საწმენდავების ხმარების წყალობით სახის კანი სუფთავდება და ნაზდება. ძალიან კარგია გზაში, სადაც სახეს ჭუჭყი და ქარი ხშირადა ჰხვდება. ზამთარში ეს წამალი სახეს სიცივის დახეთქვისაგან ინახავს, კანს ასუფთავებს და სხ. ამ წამლის ყოველთვის თან ტარება ადვილად მოსახერხებელია. თითო შეკვრა ღირს 60 კაპ.; გაგზავნით ორი შეკვრა 2 მან.; 4 შეკვრა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ მხმარებელთ, რომ ყოველს შეკვრაზედ მოიკითხონ ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი წითელის მელნით და მარკა სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება: ს.-პეტერბურგს, ს.-პეტერბურგის საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინი, 38. (5—4)

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ზაზანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |


ქართულ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ 26 ღვინობისთვეს 1890 წლ. გადასწყვიტა, დანიშნოს ახალ პიესების დასაჯილდოებლად ორი პრემია. 1) ოცი და 2) თორმეტი თუმ. შემდეგის პირობებით.

1) პიესა უნდა იყოს ახალი, ე. ი. ისეთი, რომელიც არა ყოფილა წინად წარმოდგენილი, დაბეჭდილი და ან გასინჯული დრამატიულ საზოგადოებისაგან.

2) დასაჯილდოებლად წარმოდგენილი პიესა ორიგინალური უნდა იყოს. პირველი ჯილდო მიეცემა ყოვლად ორიგინალურ პიესისათვის, მხოლოდ მეორე ჯილდო შეიძლება დაინიშნოს იმ პიესისათვისაც, რომლის სიუჟეტი აღებულია უცხო ქვეყნის პიესიდამ, ან მოთხრობიდამ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში საჭიროა, რომ ეს სიუჟეტი შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებასა და მწერალმა დაასახელოს ის თხზულება, საიდამაც აიღო სიუჟეტი.

3) პიესის სიუჟეტი შეიძლება ნამდვილ ცხოვრებიდამაც იყოს აღებული, მხოლოდ ისე-კი, რომ კერძოდ არავინ იქმნას შეურაცხყოფილი და საზოგადოებამ არ იცნოს სცენაზე გამოსული მომქმედი პირი.

4) პიესაში ქართული ცხოვრება უნდა იყოს დახატული და უმთავრესნი მომქმედნი პირნი ქართველნი უნდა იყვნენ და არა სხვა ტომისანი. თუ იმერელი, მეგრელი, ხევსური, ან სხვა ისეთი ქართველი იქნება გამოყვანილი, რომელთაც განსაკუთრებული კილო აქვთ, ეს კილო არ უნდა იყოს დამახინჯებული, ან სასაცილოდ აგდებული.

5) პიესას არ უნდა ემჩნეოდეს, რომ უკვე დაწერილ ქართულ ან უცხო ქვეყნის პიესის მიბაძვაა.

6) პიესა შეიძლება კომედია იყოს, დრამა, ტრაგედია, სცენები ისტორიულ ან ეხლანდელ დროისა და სხვ., ვოდევილსა ანუ ფარსს გარდა.

7) პიესა უნდა შეიცავდეს 3 მოქმედებაზე არა ნაკლებსა და აგრეთვე სასურველია, რომ მასში იყოს გამოყვანილი არა უმეტეს 15 მომქმედ პირისა.

8) პიესა უნდა გამოეგზავნოს დრამატიულს საზოგადოებას (მის თავმჯდომარის გიორგი თუმანიშვილის სახელობაზე, ტფილისს, ბარიატინსკის ქუჩაზე, სახლი № 8) ორ დაბეჭდილ კონვერტად. ერთში უნდა იყოს პიესა რომელისამე დევიზით, ანუ ფსევდონიმით; მეორეში უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი გვარი ავტორისა და ფსევდონიმი ანუ დევიზი გამოაშკარავებული. მეორე კონვერტი მხოლოდ მაშინ იქნება გასინჯული, თუ პიესა კარგი და ჯილდოს ღირსი აღმოჩნდა.

9) პიესები წარმოდგენილ უნდა იქმნას ავტორისაგან მომავალის წლის 1-ს ენკენისთვემდე.

10) პიესებს დრამატიულ საზოგადოების მმართველობა განიხილავს იმათის თანადასწრებით, რომელთაც მწერლობისა და სცენის მცოდნედ იცნობს.

11) თუ პიესა ჯილდოს ღირსად იქმნა ცნობილი, მმართველობამ უნდა გამოაცხადოს მოკლედ იმის უმთავრესი ღირსება: ასევე უნდა მოიქცეს მმართველობა იმ პიესების შესახებაც, რომელთაც თუმცა ჯილდოს ღირსად ვერ იცნობს, მაგრამ იმის ავტორს-კი სასცენო ნიჭს შეამცნევს.

12) ჯილდოს მიცემის დროს ავტორს ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ ის თავისს პიესას ამას იქით სცნობს დრამატიულ საზოგადოების საკუთრებად, ხოლო ერთის წლის შემდეგ ავტორს ნება ექნება დაბეჭდოს პიესა და გაყიდოს დაბეჭდილი თავის სასარგებლოდ.


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება

**РУССКОЕ СЛОВО**

მეორე გამოცემა ნაწ. I.

ფასი 30 კაპ., ვინც ოც-და-ათს წიგნს იყიდის ერთბაშად ნაღდს ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა 25 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად, ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.